ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 69. კვირა, 28 მარტი 1910 წ. დამატების № 13

მსხვერპლი

დრამა 3 მოქმედებად, სოფლის ცხოვრებიდან.

მოქმედნი პირნი:

გიგუა ტეტიაშვილი . . . 27 წლისა
ნატო, მისი ცოლი. . . . 20 წ.
ვანო. . . . . 21 წ.
მარიამ, ვანოს დედა . . . 60 წ.
გაბუა. , ... 65 წ.
მიხა. . . . . 24 წ.
სვიმონა. . . . . . . 40 წ. — გლეხები.
მამასახლისი. . . . . . 40 წ.
მწერალი. . . . . . . 25 წ.
1 და 2 პატარა ბიჭი.
ნაცვალი.
ბასილა.
იორდანე.
თავადი ნიკო. . . . 50 წ.
კნ. ბარბარე, მისი ცოლი. 40 წ.
კნ. სონა, მათი ქალი. 18 წ.
თავ. სოლომონი . . 55 წ.
თავ. ვასო, ბოქაული
მაზრის ექიმი.
საქო მედუქნე. . . 45 წ.
შაქრო, მისი ბიჭი. . 16 წ.
ლუკა, **თედო**, **ელენე** — მსახურნი თავ. ნიკოსი
მიხალენკო, ურიადნიკი
ჩოხაშვილი, სტრაჟნიკი.

გლეხები, სტუმრები თავ. ნიკოსი, სტრაჟნიკები, დედაკაცები.

სცენა წარმოადგენს საკმაოდ დიდ სოფელს ქართლში. მომეტებული ნაწილი მიწური სახლებია. თითო-ოროლა კრამიტიანიც მოსჩანს. უკანა სცენაზე პირდაპირ საქოს დუქანია. წინა სცენაზე მარცხნივ გიგუა ტეტიაშვილის სახლი დერეფნით. სოფლის ჩვეულებრივი სურათია. სადღაც ძაღლი ჭყეფს. ისმის მამლის ყივილი და საქონლის ღმუილი. შორიდან ისმის დედაკაცის ხმა: „შელო! გოგო, შე არ დასაცალებელო! სად დაიდუპე... მოშავდი აქა“. ისმის ურმულის ხმა, რომელიც თან და თან შორს მიდის და ბოლოს ჩერდება. გაიღება საქოს დუქნის კარები და გამოვა საქო, ჩამოჯდება კუნძზე დერეფანში, რომელიც დახუგვეულია, და ბევრი რამე ჭურია დუქნის ავეჯეულობა.

საქო. ბიჭო, შაქრო! სად ჯანაბას დაიმალე? გამოეხირე, შე ყურუმსაღო, ეზო დაგავე!

შაქრო. (დუქნიდგან) ე ტიალი ბოჩკას გასდის და არ დაუცვა?!..

საქო. აი, შე არამზადავ! შენ თუ რამე არ გაოხრე, ხომ არ მოისვენებ. ბოჭკას რა სჭირდა... ვიცი, შე პირშავო, დაახეთქებდი მიწაზე... ვა, დედამიწას არ ასცილდებიხარ, გული ყელში გჩრია, ბრაზისაგან სკდები. არა, რომ გაიზდები რაღა იქნები?

შაქრო. კრანტი მოშვებული ქონია ამ ვერანას და ჩემი რა ბრალია!

საქო. აქ გამოდი, გამოეხირე... შე ჩემი ცოდით სავსე...

შაქრო. (გამოვა, ცოცხი ხელში უჭირავს) ხაზეინ, ე ჩუსტები კი აღარ მაცვია და რითი უნდა ვიარო?

საქო. ჰო, პაპაშენს აქვს ცხონება, შიგრინის ბაშმაკებს მოგართმევ! არა, შინაც ქუსლიან წაღებში დაბძანდებოდი!.. ახმახ, ახლა დოხტურები ამბობენ და მდიდრებსაც ურჩევენ, ფეხიშველამ იარეთო... შენ რაღა წითელი კოჭი ბძანდები!.. შენც ეგრე იარე... თუ არა და მაგ ჩუსტებს რა სჭირს?!.. პატარა შაქრის ქაღალდი დაუგე და ძაან კარგადაც ატარებ...

აკაკის გაცილება ხონელების მიერ.

ხონში იუბილეის გადახდის შემდეგ ხონელებმა მგოსანი გააცილეს სოფ. გუბამდე და იქ, შარა-გზის პირად, ეს სურათი გადაიღეს. შუაში ზის აკაკი. გუბელებს აზრადა აქვთ, ამ ადგილას გახსნან ბიბლიოთეკა აკაკის სახელობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა, არ ხედამ, ლამის არი დავიღუპო: აღარც ვაჭრობაა და აღარც ჯანაბა... ეს ტიალი, რა დრო დადგა. თითო წვინტლიანი ვინმე გამოგივარდება: „ტაქციაზე აყიდეო, ხალხს ნუ ატყავებო... შენ ბურჯუა ხარო!..“ იმ ვირის თავებს, ნეტავი ესმოდეთ რამე... მაშ თუ არას მოვიგებ, თუ არას მამცემ... რა ჯანაბათ მინდა ეს შენი დუქანი...

შაქრო. (თან ჭგვის, თან დაბარაკობს) მაშ საწყალ ხალხს ცხოვრება არ უნდა?..

საქო. ხმა გაკმინდე, შეჯბატის ტვინო!.. საწყალ ხალხს! შენ რო ზანტი და წელ-მოწყვეტილი იყო... შენ რო მუშაობა ჭირივით გეჯავრებოდეს, ჩემი რა ბრალია... ჩემთან, ჩემს ოფლთან, სისხლთან, ამაგთან რა გინდა? ახმახ, გაგიგონია რეკამენო, ის კი არ იცი-სად!.. არა, შე მუხის თავო, ვერ გაიგონე, იმ დღეს „ნასწავლი კაცი რო ლაპარაკობდა, რას ამბობდა? მემამულეებს, კნიაზებს უნდა წაერთვასო... ვაჭრებს, ფულიან ხალხს ხელი არ ახლოთო... ეგენი ჩვენი სასარგებლო არიანო... ეჰ, ვენაცვალე იმის ღმერთს შიგ კუჭში, აი მართალი თუ განდა ესაა! ვა ვაჯარი, მედუქნე რო არ იყვეს, შენი ტილიანი გლეხები რას გააწყობდნენ!.. მაშ ორი გროშის საქონლისთვის პეტრებუხს წახვიდოდი, მამაგიცხონდა!.. საწყალი ხალხი! საწყალი მე ვარ, წლითის წლამდე ნისია გამდის და გამდის, და ნაღდს კი კაპეიკს არა ვხედავ... ჰეი გიდი! მე საქონელში ნაღდი ვაძლიო, ჩემგან კი ნისიად ზიდონ... შენ ნაღდი თქვი, ნაღდი!..

შაქრო. მაშ პურსა და ქერს რო ზიდამენ, ის რაღაა?..

საქო. ხმა გაკმინდე! მამა გიცხონდა, შენც ახალი ერთობა გამიხდი!.. ასეთ ერთობას გიჩვენებ, რომ მგონი თავვის სოროს ეძებდე!.. (შემოვა მარია-მი. ხელში ნავთის ჭურჭელი უჭირავს).

მარ. დილა მშვიდობისა, ნათლი!

საქო. შვიდობა მოგცეს, დედიჯან! ჰა, ნავთი გენდომება, არა?

მარ. დიახ, შენი ჭირიმე. (მიაწვდის ჭურჭელს) ორი გირვანქა მიბოძე...

საქო. (მარჯს) ბიჭო, მაართვი ორი გირვანქა ნავთი... (შაქრო გამოართმევს ჭურჭელს და დუქანში შევა მართა) სამი შაური იქნება, აი...

მარ. უიმე ქა!.. რავქნა და იმ დღეს არ იყო, ორი შაური გამომართვი...

საქო. რას ამბობ, დედიჯან, რასა? მე მუქთად ხომ არავინ მაძლევს. ქალაქს ნავთი ახლა გირვანქა შვიდი კაპეიკია, და მაშ მე ნახევარ კაპეიკიც მოტანაში არ ავიღო?.. გროშებისას რას იტყვი, ჰა? ბევრი მოგროვდა, აი...

მარ. აბა, რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე, ვანოს მზემა. ი ბიჭი ქალაქს მიდის ზეგა, შეშა მიაქ და მოგართმევ... სულ გაგისწორდებით.

საქო. ე—ე, ბევრი ქალაქი გამიგონია... ადამიანო, მე ზეციდან ხომ არ მიყრიან გროშებს... როდის და სადღაა... ე შენმა ვაჟბატონმა პტყელ-პტყელი ლაპარაკი კი იცის, აქ ტაქციებს მინიშნავს, მთელი ხალხი გააგიჟა, და გროშების მოცემაში კი ღმერთმა დაიფაროს. მე რა თქვენი მოვალე ვარ?

მარ. აბა რას იზამთ, ნათლი, ხომ ხედავ, რა დროა. ი ჩემი ბიჭიც ხალხისთვის ზრუნავს... ბევრსაც უშლი, მაგრამ რას გავხდები...

საქო. ვა! მე კი ადამიანი არა ვარ?.. (შაქრო გამოიტანს სანავთეს) აჰა, წაიღე და, თუ ღმერთი გწამს, გროშები არ დაგავიწყდეს, აი... მოიტა, ბიჭო, დავთარი, ჩოტკიც მანდ არის.

შაქრო. (შებრუნდება და გამოიტანს) გუშინ ვანომ ერთი ხელადა ღვინო წაიღო...

მარ. დიახ, სტუმრები გახლდნენ ქალაქიდან, პური მიირთვეს.

საქო. ვინ იყვნენ? ისევ ის ლაწირაკები იქნებოდნენ, არა? დედაკაცო, გაფრთხილდი მეთქი, გაფთხილდი. შენ შვილს ხომ ჭკუა დაკარგული აქვს და შენ რაღას უცქერი...

ოკრ-წყალა, ხევსურისა და ფშავის არაგვის შესართავი.

როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, მთავრობამ გადასწყვიტა კავკასიონის მთაზე რკინის გზა გაიყვანოს და ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია შეაერთოს. დასახელებულია ორი პროექტი—არხოტისა და არდონისა. თუ პირველი პროექტი მიიღეს, გზა სწორედ ამ ორწყალაზე გაივლის.

მარ. მე რა მიშავ, შენი ჭირიმე, ერთი ქვრივ-ოხერი ვარ, კუბოში ფეხი მიდგია... ვანოს მზემ, ბევრს უშლი,—მაგრამ, დედიო, ქვეყანამ გაიღვიძაო, ჩვენი დრო მოვიდაო, ერთობაო, თუ ჩვენთვის **არა**, ჩვენი შვილებისთვის ხომ შვილს ხომ ჭკუა დაკარგული აქვს და შენ რაღას უცქერი... გავაკეთებთო. მეც ველარას ვეუბნები. ისე ლაპარაკობს, ისე აგიხსნის და დაგილაგებს, აბა მე ხომ რა გამეგება, ბევრი არ მესმის, მაგრამ გული მეუბნება, რომ კარგს რასმე ამბობს. ან ცუდს რას იტყვის, ხო მოგეხსენებათ, ანგელოზივით გული აქვს.

საქო. ე, კარგი, თუ ღმერთი, გწამს... ერთი მითხარი, კაცს თუ გამორჩენა არა აქვს რა, გიჟია სხვისთვის იზრუნოს... რის ერთობა, რის ფლავი... ვიღაც ლაწირაკები დაეთრევიან, მუქთათ პურსა სჭამენ და ფულს ხვეტენ... (ანგარიშობს) აი, დედიჯან, ეხლა ორი მანეთი და ცხრა შაური იქნება, არ დაგავიწყდეს, აი...

მარ. ქა!., იმდღეს ვანომ მითხრა, საქუასი მანათ ნახევარიაო... და მაშ მაგოდენი საიდან მოგროვდა.

საქო. ე—ე, კარგია, ნუ დაიწყებ, დედაშვილობას! აჰა, აი, ე დავთარში ხომ სწერია (ჩაიგდებს) აი, იმ კვირია ხომ შენთან ვიანგარიშე—რვა აბაზი იყო, მერე ერთი ხელადა ღვინო, რვა აბაზი, კიდევ აბაზი, კიდევ აბაზი, და კიდევ აბაზი—ეგ შენი ორი მანეთი და ექვსი შაური; ახლა სამი შაურიც ნავთისა—ეგეც შენი ორი მანეთი და ცხრა შაური...

შაქრო. (იქით) ხელად ორი შაური არ ჩაარტყა!

მარ. დამიდგეს თვალები! მაშ ვანოს რაღა უთხრა. მაი გოდენა არ უნდა ყოფილიყო...

საქო. ვა, მაშ შენ ვანუას ხომ არ უნდა, მუქთათ ვა-

კენჭაობა (ხმალში ვარჯიშობა) ხევსურეთში.

ძლიი. არა, სულ მე გაძლიოთ, ერთხელ თქვენ მოშიტანეთ და...

მარ. (გაბრუნდება სახლისკენ) რავქნა, მაგოდენა არ უნდა ყოფილიყო და! (მიდის).

საქო. ამ უბედურებს ანგარიშის თავიც არა აქვთ, და თანაც რაღაცას იბრძვიან, სადღაც მიიწევენ...

შაქრო. ხაზეინ, გუშინ გიგუამ ერთი ბოთლი არაყი წაიღო.

საქო. ვინ გიგუამ?

შაქრო. (უჩვენებს გიგუას სახლზე) აი, ტეტიანთ გიგუამ. არ ვაძლევდი და ისე შემომიტია, რომ ხმაც ვერ გავეცი... ხომ არ გინდაო, შენცა და შენი ფაშვიანი ხაზეინიც საიქიოს წაგაბძანოთო... ხომ მიცნობ, ვინცა ვარო...

საქო. შე ყურუმსაღო, შენ არ გითხარი, მაგ ყაჩაღსრაზბონიკს ნურას მისცემ-მეთქი. ოხერო, მაგან მთელი დუქანი გამიჩანაგა. ვა, ეს რა ამბავია, დაღისტნობაა... დამაცადოს მე მოვაგონებ მაგას...

შაქრო. დამაცადოსო ი შენმა ღიპიანმა საქუამო... პრიტავს და ტრაჟნიკებს რო ეკურკურებაო ეგ შპიონიო, ერთი კამიტეტს შევატყობინოო. ფინთად კი გაუხეთქამენ ი ფაშვებსაო...

საქო. ვა, ვა, რა დაუშავე, კაცო, რა!? მე პრისტავთან და სტრაჟნიკებთან რა საქმე მაქვს... ვა, მოდიან სვამენ, სჭამენ და მევე მემუქრებიან... მე ხომ არ უშლი. მაგ არა მზა ფას მიაქ და მიაქ ნისია... წაიღოს მაგ ოხერ ტიალმა.

შაქრო. მეც დამემუქრა, შენც იმის მხარე გიჭირამსო. არ გასმევსო, არ გაცმევსო, ე მანდ ე ჩუჩტებსაც არ გაძლევსო, და შენ კი ძაღლივით ერთგულობო.

საქო. ჰაი, ის რაზბონიკი. ერთი ჩამივარდეს ხელში, მე ვაჩვენებ იმას. არა, რა დაუშავე, ერთი მითხარი? რას იზამ, ახლა მაგათი დრო არის. ჰეი გიდი აბასთუმან, მაგისთანა წვინტლიანმა გიგუამ, ტეტიანთ გიგუამ მთელი ქვეყანა დააშინა... ვა, ვა, ვა! ახლა რა გოგო ჩაიგდო ხელში და. ბროწეულია, ბროწეული... მაგას ქალს მივცემდი? მერე რა ქალს... გადაბრუნდა ქვეყანა, გადაბრუნდა...

შაქრო. ერთი კი წამკრა კისერში, მერე ნუ გეშინიაო, თუ რამე არ აგისრულაო შენმა ღიპიანმაო, მე მითხარიო, მალე მოვარჯულებო.

საქო. შენც ჭრალა დაულაგე, ვინ ჭიცის, რა არა უთხარი.

შაქრო. ღმერთის მადლმა, სიტყვაც არ დამიძრავს. ე ჩუჩტები თითონა ნახა.

საქო. კარგია, ნუ გააწყალე გული! ზეგ ქალაქს წავალ და მოგაშავებ ჩუსტებს... დუქანს უგდე ყური. მე იქ ნალბანდებთან წავალ არ სად წავშავო, აი. თუ გიგუა მოვიდეს, მოითხოვოს რამე, მიეცი. (მიდის).

შაქრო. მალე კი აუკანკალდა გული... ძაან კი შევაფუცხუნე! (ორი სამი კაცი სიჩქარით გაივლის) ეს ხალხი ნეტა საით მიეჩქარება! (ორ პატარა ბიჭს ხელის ურმით შეშა მოაქვს. პირველი ბიჭი ხელნებს შუა სდგას, მეორე უკანიდან ურემს აწვება).

პირ. ბიჭ. ბიჭო! სად ჯანაბას აწვები, რა წელი გწყდება, მოაწე რალა, თორემ მგონი ისეთი მოგცხო მაკისერში, რო...

შაქრო. მაამოო, ხი, აცე ვირო! გაიწი შე ვერანავ!

მეორე ბიჭ. შენ ეი, ბურჯუავ, ხმა გაკმინდე, თორე... (დუქნის წინ ორივე შედგება).

პირ. ბიჭ. შაქრიკას, მოიტა ერთი ფოჩიანი კანფეტი გადმომიგდე...

შაქრო. რო დაგახველოს, ან კუჭში გაწყინოს (რამდენიმე კაცი კიდევ გარბის) ბიჭოს ე ხალხი საით მიეჩქარება?

პირ. ბიჭ. რა ვიცი, იქ ნალბანდებთან ხალხი ლაპარაკობდა პრისტავი და ბევრი ყაზახები მოდიანო, სოფლის ბოლოს მოახლოვდნენო.

შაქრო. ვა, ზეკუცია თუ იქნება? ნეტა რისთვის მოდიან? (ბიჭებს) გასწით რაღა, გაიარეთ, ჩემი ხაზეინი არ მოვიდეს. (ბიჭები ურემს წაიღებენ) ავიდე პეტრიანთ ბანზე გადავიხედო. (წავა) (შემოდის ვანო ნაბად წამოსხმული, მიუახლოვდება გიგუას სახლს და კარებს დააკაკუნებს).

ვანო. გიგო, გიგო! (კარი გაიღება, გამოვა ნატო).

ნატ. ოხ! ვან... ნათლი, თქვენა ბძანდებით. გიგო შინ არ გახლამთ.



სოფელი შატილი ხევსურეთში.

ვანო. ნათლიდედ, პრისტავი ყაზახებით მოდის, ალბად ჩხრეკა იქნება. იარაღი ხომ არა გაქვთ რა?

ნატ. უიმე ქა! წუხელ გიგუამ თოფი და პატრონა მოიტანა, დღეს დილა ადრიან წავიდა, საქმე მაქვსო. უი დამიდგა თვალეზი, რაღა უნდა ვქნა?

ვან. მოიტა ჩქარა, მე წავიღებ. ისე დავმალავ, რო ეშმაკიც ვერ იპოვის.

ნატ. ქა და რო იპოვონ, ხო დაიღუპები და მერე მე... ჩვენ რაღა პასუხი უნდა გავცეთ.

ვან. ქალო, დრო აღარ არის, მოიტა ჩქარა, მე მოუვალი მაგას, ვერას იპოვნიან...

ნატ. (შევა სახლში და კამოიტანს თოფს და პატრონებს) შენი ჭირიმე, ვან... ნათლი, თუ ჩემი... თუ ჩვენი სიყ... თუ ჩვენი ხათრი გაქვს, გაუფთხილდი შენს თავს. თუ შენ რამე დაგემართა მე ხომ... და ვანოსაც სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაგვექცევა.

ვან. მე რა მიშავს (თოფს და პატრონებს ნაბად ქვეშ დამალავს) ერთი ობოლი, ოხერი კაცი ვარ. ვის რათ უნდივარ? მოხუცი დედა ღა დამრჩენია... მაგრამ რისა გეშინიან? გეუბნები ისე დავმალავ, რო ასი წელიწადი ეძებონ, ვერას იპოვნიან... ნეტა სად უშოვნია ეს თოფი!..

პართენ გოლთუა. ოჰ, ძნელი და სახიფათო ყოფილა ეს ხელობა!

ნატ. რა ვიცი. წუხელ გვიან მოვიდა და მოიტანა, ვკითხე, ვისია მეთქი... შემომიტია: „ვისაც ხელში უჭირამო“. მეც ველარა უთხარი-რა, ცოტა ნასვამიც იყო.

ვან. მაშ მე წავალ. ნურაფრისა გეშინიან. სახლი გაშინჯე. ან წიგნები ან ბარათები ისეთი არა იყოს რა.

ნატ. არა არაფრისთანა არა არისრა. კაციც შინ არ არის ნეტა ეგენი რაღათ მოვიდნენ... მეშინიან...

ვან. ნეტა არ მინდა, ხელი ვინმე გახლოს! მამასახლის წაუჩურჩულებ, შენ არხეინათ იყავი. (მიდის)

ნატ. არხეინათ იყავი!.. რა მჭირს მე, ყველა გაიძახის, რა ბედნიერიაო. რა ქმარი შეირთოო, ვაჟი "კაცი, მდიდარი მამულიშვილიო... ახლა ჩემ გულში ჩაიხედეთ. ოხ, მამა ჩემო! ჩემი ცოდვით მოისვენებ შენ? „ვის რათ უნდივარო?“ შენ თავისუფალი მაინცა ხარ და მე?.. მაგრამ ვინა გვკითხამს ჩვენ? საითაც გადიქნევენ, ით უნდა გადიხარო... უიმე ქა! ვიღეებიც მოდიან (სწრაფად შევა სახლში და კარს მიხურამს გამოვდენ ბოქაული, მამასახლისი, ორი სტრაჟნიკი და საქო).

ბოქაული. (მამასახლისს) მაშ ეგრე, ხალხი შეაგროვე. ერთი არ დარჩეს სახლში. მინდვრებშიაც გაგზავნე კაცები, ყველას დაუძახონ... (დახედავს საათს) აი, ათი საათია, თორმეტზე ყველანი აქ უნდა იყვნენ. ვაი შენს თავს, თუ დამიგვიანებ. გასწი ჩქარა!

მამ. ამ საათში, შენი ჭირიმე.

ბოქაული. ნაცვალი იქ გაგზავნე ყაზახებთან. შეშა, თივა ან სხვა რამ თუ მოითხოვეს, ხელათ მოუტანოს.

მამ. ბატონი ბძანდები, შენი ჭირიმე! (საჩქაროთ წავალ).

საქო. მობძანდით, ვასიატელსტვო, აქ ცოტა შეისვენეთ. ბიჭო, შაქრო! ეყურე იმ არამზადას, სად ჯანაბას დაკარგულა? მობძანდით კნიაზჯან. (შევა დუქანში და სკამს მოართმევს)

ბოქ. (დაჯდება) სხვა ახალი ამბები რა არის?

საქო. აბა, შენი ჭირიმე, ახალი თქვენ გეცოდინებათ. გუშინ ქალაქიდან გიახელით, არც კი არა ვიცირა. კნიაზჯან! ისეთი ცოცხალ-ცოცხალი მურწა მაქვს, როგორც უცეცხლო თაფლი, ღმერთის მადლმა! წითელი ღვინო მაქვს, რომ მკვდარს გააცოცხლებს... არ ინებებთ, ჰა კნიაზჯან?

ბოქ. იქ, თავად ნიკოსთანა ვარ დაპატიჟებული. აბა შენ იცი, ერთი კაი მურწა და ღვინოც იქ გამოგზავნე. სტუმრები იქნებიან, ნუ შემარცხვენ.

საქო. ბატონი ბძანდებით. ისეთ თევზს მოგართმევ, კნიაზის მზემ, რო ანტიკა რამ იყვეს.

ბოქ. აბა შენ იცი. მაშ გუშინ, გუშინწინ არავინა ყოფილა?

საქო. (შეხედავს სტრაჟნიკებს) არა, კნიაზჯან, არავინ.(ბოქაული თვალს გაადევნებს).

ბოქ. (სტრაჟნიკებს) Ну, Михаленко, вы идите, туда къ князю, я сейчасъ за вами приду!

ერთი სტრ. Слушаюсь! (სტრაჟნიკები წავლენ).

ი. გედევანიშვილი.

(შემდეგი იქნება)

რუსეთის კონსტიტუცია (ტირის). ათასს წილად სიკვდილი სჯობს, ამათ ხელში ჩავარდნასა...

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3